მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა


| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა № 117.

№ 37

შაბათი, 22 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 37

„რუსკია ვედომოსტის" სიტყვით, დაპატიმრებით ყოფილი დეპუტატები ჟორდანია და მინაილინჩენკო. ბოსნიაში დაწყებულა აჯანყება, ჯარისთვის იარალი აუყრიათ. ბრესტ ლიტოვსკში არტილერიაში არეულობა დაწყებულა, აგრეთვე სამურის პოლკში, მოუკლავთ პოლკის უფროსი, 4 ოფიცერი და მღვდელი. კრონშტანტში დაწყო მატროსების არეულობა, მოუკლავთ ადმირილი ბეკლემიშევი და რამდენიმე ოფიცერი.

## ქართული წარმოდგენა ფუნიკულერზე.

ვინც წარმოდგენის ბილეთს იყიდის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანე- ფუნიკულერით.

**კვირას, 23 ივლისს**

ქართული თეატრის არტისტები ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, იმედაშვილი; ქ.ქ ნაკაშიძე, ჯალუსტოვისა, ახლად გამართულ სცენაზე გაიმართავენ წარმოდგენას წარმოდგენილი იქნება

I

**ძუნწი**

კომ. 2 მოქმ. ძლისთავისა.

II

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

კომ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა.

**წარმოდგენა დაიწყება 8. საათზე გათავდება 10-ზე.**

**დაუკრავს გურულების ორკესტრი.**

**ადგილების ფასი ფინიკულერზე ასვლა-ჩამოსვლით 40 კ დან 1 მ. 50 კ—მდე.**

ბილეთები ამ თავითვე იყიდება 1) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში 2) „პროგრესის" მაღაზიაში ბულვარზე და 3) გიორგი ქორქაძესთან, ... ონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგენის დღეს ფუნიკულერის კასასთან.

**საჭმელ-სასმელების ფასი ერთიორად დაკლებულია.**

წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე და ვ. გუნია.

## რა უნდა ვქნათ.

იმის გამოსაკვლევად რომ რა უნდა ვქნათ, საჭიროა, ყველა იმასთან ერთად რაც უკვე ვთქვით, გავიხსენოთ ის მეთაური აზრები, პრინციპები, რომელზედაც ჩვენ ვამყარებთ „**ჩვენ** პირდაპირ **მოქმედების**" ტაქტიკას ჩვეულებრივ სოციალურ ბრძოლაში რევოლიუციის და რევოლიუციონურ მოქმედებას არსებული წესწყობილების დასანგრევად სოციალისტურ ცხოვრების შესაძლებლობის დამყარებისთვის.

ერთი უმთავრესი პრინციპი შესდგება იმაში, რასაც „კლასთა ბრძოლას" ეძახიან და წარმოადგენს პროლეტარიატის და ბურჟუაზიის ინტერესების შეურიგებლობას.

მეორე პრინციპი შესდგება იმაში რომ კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში არასოდეს უპირატესობით, პრივილეგიებით შემოსილ კლასს, რომელიც ძალით ამაგრებს და ამტკიცებს თავის სოციალურ მდგომარეობას, არ უთქვამს უარი თავის კლასობრივ ინტერესებზე პრივილეგიებზე. და არც არასოდეს თავის ნებით არ იტყვის უარს თავის კლასსობრივ, სოციალურ მდგომარეობაზე.

პირველიდგან მეორე პრინციპი გამომდინარეობს და ორივედგან კი ანარქისტული ტაქტიკა „პირდაპირი მოქმედებისა" და რევოლიუცია, როგორც უმაღლესი და საბოლაო ფორმა ამ „პირდაპირი მოქმედებისა."

ა. ბლანკი ამბობდა, რომ „ფეხდა ფეხ მივჰყვებოდი დიდ შემთხვევებს და ყოველთვის ორ მხარეებს ვხედავდი: ადამიანები, რომლებსაც სურთ იცხოვრონ თავიანთ შრომით და ადამიანები, რომლებსაც სხვისი შრომით სურთ ცხოვრება.. პატრიციები და პლებეები, მონები და თავდახსნილები, გველფები და გიბელინები, „თეთრები" და „წითელი ვარდები", მხედრები და მრგვალ თავიანები, თავისუფლების მომხრეები და ბატონ-ყმობის მომხრეები—ყველა ესენი, ვარიაციები, სხვა და სხვა გვარობა არიან მოვლენათა ერთ და იგივე მოდგმისა." ამ გვარად სხვათა შორის უნდა ვთქვათ რომ კლასსობრივ შეურიგებელ ანტაგონიზმს მარქსზე ადრე სხვები ხედავდნენ, მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე იმაშია რომ ეკონომიური წინააღმდეგობა პროლეტარიატის და ბურჟუაზიის შორის ძლიერ მწვავეა, მწვავეა მაშასადამე მათი პოლიტიკური ანტაგონიზმიც; ამიტომ მათ შორის არავითარი მშვიდობა და ზავი არ შეიძლება, თუ მაინცა და მაინც ცოტა სოციალური ბრძოლა პროლეტარიატს და ბურჟუაზიას შორის დროებით ჩაცხრა ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე ერთი მეორეის დაუძინებელ მტრები ძალა გამოელიათ და იკრებენ ახალ ძალებს ახალი ბრძოლის დასაწყებათ, ამგვარი მდგომარეობა მანამ გაგრძელდება, სანამ ბურჟუაზიული კლასსი არ მოისპობა, რადგან პროლეტარიატის მოსპობას მისი პარაზიტების მოსპობაც მოჰყვება და ამგვარად მიუხედავად იმისა გაიმარჯვებს პროლეტარიატი თუ ბურჟუაზია, ორივე შემთხვევაში ბურჟუაზია მოისპობა. კაცობრიულ ცივილიზაციას ორი გამოსავალი აქვს: სოციალისტურ მიმართულებათა გამრჯვება და მაშასადამე შემდეგი კულტურული განვითარება კაცობრიობის ან სოციალიზმის დამარცხება, გამარჯვება ბნელი სოციალური ძალების და მაშასადამე კაცობრიული ცივილიზაციის და კულტურის დამარცხება, გაკოტრება და განადგურება, როგორც ეს მოხდა ასირიაში, ბაბილონიაში, რომში და სხვაგან.

ამგვარად **„კლასსობრივი ბრძოლა"** არის ის არხიმედის წერტილი რომელზედაც უნდა დაეყრდნოს სოციალისტური მოქმედების, ტაქტიკის ბერკეტი. რადგან „კლასსობრივი ბრძოლა" უარჰყოფს სოციალურად მებრძოლ კლასსების კავშირს, ამიტომ სოციალისტური ტაქტიკის ბერკეტათ უნდა ვაღიაროთ **„პირდაპირი მოქმედება"**, სოციალური ცხოვრების ნაწილობითი ტრანსფორმაციის მოსახდენათ და რევოლიუცია უკანასკნელად გადამწყვეტ საშვალებათ, ყველა წვრილმან ტრანსფორმაციების გამაერთიანებელ მომენტათ. მაშასადამე პირველი შეადგენს პერმანენტურ, მუდმივ რევოლიუციას და უკანასკნელი კი სომაციას, გაერთიანებულ ჯამს პერმანენტური რევოლიუციისას.

ყველა ეს მოსაზრება საჭიროა მუდამ გვახსოვდეს სოციალისტურ ტაქტიკის გარჩევის დროს.

თუ დღეს თეორეტიულათ თითქმის ყველა „სოციალისტები" მომხრე არიან „კლასსობრივი ბრძოლის" პრინციპის ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი თავიანთ მოქმედებაში, განსაკუთრებით პოლიტიკურში, ატარებდენ თავიდგან ბოლომდის ამ კლასსობრივ პრინციპს. ნათქვამის გასათვალისწინებლად საკმაოა შევისწავლოთ „პარლამენტარისტულ" სოციალისტების პოლიტიკური მოქმედება.

თუ ორ სოციალურ ჯგუფში, კლასსში არსებობს უკიდურესი, შეურიგებელი **ეკონომიური ანტაგონიზმი**, თუ მუშას და პატრონს შორის ქარხანაში არსებობს დაუცხრომელი ბრძოლა და წინააღმდეგობა, თუ მუშა ქარხანაში დაჩაგრულია ქარხნის პატრონისაგან, მაშინ ცხადია, რომ უნდა არსებობდეს ამავე დროს შეურიგებელი **პოლიტიკური ანტაგონიზმი**, მაშინ პოლიტიკაში უნდა არსებობდეს დაუცხრომელი შეურიგებელი ბრძოლა, ე. ი. მუშა უნდა უარჰყოფდეს ბურჟუაზიულ პოლიტიკურ დაწესებულებას—პარლამენტს, თუ მუშა იბრძვის ბურჟუაზიის ქარხნის წინააღმდეგ ის უნდა იბრძოდეს ბურჟუაზიული პოლიტიკის წინააღმდეგ, პოლიტიკის, რომელიც შეეფერება იმ ეკონომიურ მდგომარეობას ბურჟუაზიისას, რომლის დაუძინებელი მტერი არის პროლეტარიატი, თუ პროლეტარიატის ბრძოლა მიმართულია საწარმოვო იარაღების განსაზოგადოებისთვის — ეკონომიური მდგომარეობის განსაზოგადოებისკენ —მაშინ ამ გვარადვე მისი პოლიტიკური მოქმედება უნდა იყოს მიმართული პოლიტიკური ურთიერთობათა განსაზოგადოებისკენ, რომელიც უნდა შეხვედროდეს განსაზოგადოებრივებულ ეკონომიურ საწარმოვო იარაღებს. ეკონომიურ საწარმოვო იარაღების განსაზოგადოებრივება ნიშნავს იმას, რომ მოისპობა, როგორც კერძო საკუთრება, ისე ჯგუფური, როგორც კლასსობრივი, ისე სახელმწიფოებრივი საკუთრება, რომელიც არ უნდა ეკუთვნოდეს. არავის, ე. ი უნდა ეკუთვნოდეს ყველას, საზოგადოებას, ყველა ეკონომიურად თავის უფალი უნდა იყოს მაშასადამე მაშინ ამიტომ პოლიტიკური წარმოებაც, პოლიტიკური ცხოვრებაც არ უნდა ეკუთვნოდეს არავის, ე. ი. უნდა ეკუთვნოდეს ყველას, საზოგადოებას, ყველა პოლიტიკურად თავისუფალი უნდა იყოს, საზოგადოებრივ საკუთრებას შეეფერება საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრება. **საზოგადოებრივ-ეკონომიურ** მდგომარეობას შეეფერება **საზოგადოებრივ-პოლიტიკური** ურთიერთობა —ანარქია—პოლიტიკური უფლება ყველას ექნება თანასწორად ისე როგორც ეკონომიური უფლება.

ამგვარად ყველა „სოციალისტურ" პარტიებს შორის **ანარქისტები არიან ერთად ერთნი, რომელნიც ბოლომდის რჩებიან „კლასსთა ბრძოლის" პრინციპის თანახმა, ერთად ერთნი სოციალისტები და რევოლიუციონერები ერთ და იმავე დროს**, მაშინ, როდესაც ყველა სხვა „სოციალისტური" პარტიები აღიარებენ თეორიაში თუ არა პრაქტიკაში მაინც „კლასსთა შერევის" პრინციპს, რომლისაგანაც გამომდინარეობს მათი რეფორმიზმი, რეალური პოლიტიკა, რომელიც ნამდვილად რეალური ღალატია სოციალიზმის და პარლამენტარიზმი— გვირგვინს რეალურისავე პოლიტიკის და **კლასსების რეალურ შერევისა.**

არასოდეს და არსად ანარქისტებს და ბურჟუაზიას შორის შეთანხმება არ ყოფილა, არასოდეს და არსად ანარქისტებს და ბურჟუაზიას შორის არავითარი მოლაპარაკება და კავშირი არ ყოფილა. ყოველთვის და ყოველგან პარლამენტარისტულ სოციალისტების, სოციალ-დემოკრატიის და ბურჟუაზიის შორის იყო და არის მოლაპარაკება, შეთანხმება და კავშირი. სოც.-დემოკრატიის და ბურჟუაზიის პარლამენტს წარმოადგენს камера политическаго соглашенія ს სოც.-დემოკრატიის და ბურჟუაზიის საერთო ნიადაგი ცენტრალიზმი, სახელმწიფოებრივობა, პარლამენტარიზმი არის; ჩვენ და ბურჟუაზიას შორის საერთო ნიადაგი ბრძოლის ტრაგიკული ველი, მტრობა, შეუბრალებელი შურის ძიება, სიკვდილი და სამარის ბნელი სიმშვიდეა.

საზოგადო ყველა კანონმდებლობის და კერძოთ პარლამენტარული ისტორია ამტკიცებს, რომ ყველა კანონები", რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ლიბერალური არიან, არიან არა გაბოტონებულთა გულკეთილობის ნაყოფი, არამედ მოპოვებული არიან ხალხის მიერ „პირდაპირ მოქმედებით", ბრძოლით, მაგრამ საკანონმდებლო დაწესებულებათა მოღვაწეობა არა თუ მხოლოდ ხალხის მიერ ძალით მოპოვებულ თავისუფლებათა კონსტიტუცია, ცნობაა კანონების საშუალებით არამედ ამ დაწესებულებათა ნაწარმოები „კანონები" ყოველთვის მიმართულია ამ თავისუფლებათა შემდეგი განვითარებისაგან თავის დაცვა კანონ-მდებელ კლასსის მიერ, მაშასადამე პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო დაწესებულება არა თუ პოლიტიკური კოოპერატიული დაწესებულებაა, არამედ პროლეტარიატის ემანსიპაციონური მსვლელობა, შემომფარგვლელი კონსერვატიული დაწესებულებაა.

F. La [illegible]

# ახალი ამბავი

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ ადგილობრივ ყაზახებს მთავრობისათვის მოთხოვნილება წარუდგენიათ. ყაზახები მთავრობას სხვათა შორის სთხოვენ, რომ დაითხოვნილ აქმნენ ძველი რიგის ყაზახები მთავრობას ასეთი მოთხოვნილება არ შეუწყნარებია.

— 20 ივლისს, ქალაქის საბჭოს ჰქონდა უკანასკნელი სხდომა. ამ დღის შემდეგ ქალაქის საბჭო საზაფხულოთ დაითხოვნილია.

— მიკიტანი ბარაჯანოვისათვის გაუგზავნიათ ანარქისტების სახელით შემდეგი შინაარსის წერილი: ამითი გთხოვთ ათას მანეთს (1000 მ.) ტბილისის ანარქიის პარტიისათვის. მუდამ მზად უნდა ჰქონდეთ და როცა ჩვენი ამხანაგი მოვა გარდასცემთ იმას. თუ ჩვენი მოთხოვნილება არ აგისრულებიათ მაშინ ჩვენ იარაღის ძალით გამოგართმევთ ამ ფულს. ანარქისტები.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ ამ აღვირ-წახსნილ ვაჟბატონებს ანარქისტების სახელით ნუ სჩადიან მაგნაირ ავაზაკობას, თორემ სადაც იქნება ჩავიგდებთ ხელში და შესაფერ პასუხს გავცემთ.

— თბილისის საოლქო სასამართლოს I განყოფილებამ მიიღო განსახილველათ საქმე ყოფილი „ვესტანი ხალის" რედაქტორის ნაზარენკოსი. რედაქტორს მთავრობა ბრალსა სდებს რუსეთის ჯარის შეურაცხყოფაზე. გაზეთში მოთავსებული ყოფილა ისეთი წერილი, სადაც გაუკიცხავთ და დაუგმიათ ჯარები მთავრობის სამსახურისათვის და ძარცვა გლეჯისათვის. აგრეთვე მთავრობის ფიქრით, შეურაცხყოფა მიუყენებია ყაზახებისათვის, რომელთათვის ხალხის მკვლელები და ხალხის ჭირი უწოდებია.

— შორაპნის მაზრიდან გვატყობინებენ შემდეგს საყურადღებო ამბავს: 19 ივლისს, 131 ვერსზე რკინის გზის მსახურს თავს დასხმიან სამი შეიარაღებული კაცი და გაუძარცვავთ. გაუძარცვავთ და დაუჭრიათ რკინის გზის მუშები კოზლოვი და ინსაძე. უკანასკნელი კიდეც გარდაცვლილა. 130 ვერსზე გაუძარცავთ და უცემიათ მსახურ გიორგაძისათვის. 129 ვერსზე გაუძარცვათ მსახური ბერიძე თანაც ტყვიით მკლავში დაუჭრიათ. 128 ვერსზე გაუძარცავთ მსახური გოლძე და ბოლოს მიმალულან. დაშავებულნი თბილისის საავადმყოფოში წამოუყვანიათ.

— თბილისის მაზრაში სოფელ ნორიოში 18 ივლის, თავს დასხმიან 7 შეიარაღებული კაცი ძიძიკაშვილს. შეშინებულს ძიძიკაშვილს ვაჟს უჩვენებია ფულის შესანახი და ძვირფასი ნივთები. თავდამსხმელებს წაუღიათ 400 მ. ნაღდი ფული და 156 მ. ნივთები.

— 20 ივლისს, ელისაბედის ქუჩაზე საშინლათ სცემეს სამმა სალდათმა ერთს კაცს, რის გამოც უკანასკნელი წაიქცა და ვინამ ეტლით არ წაიყვანეს ველარ წაიდა. შეპყრობილი საკომენდანტო საპყრობილეში წაიყვანესო, მიზეზათ ასახელებენ რომ მას ტელეგრაფის მავთულების გადაჭრა უნდოდაო.

— როგორც შევიტყეთ ფოთის ქალაქის თავი ბ. ნიკოლაძე ქალაქის მინდობილობით პეტერბურგს მიემგზავრება, სადაც უნდა გაანაღდოს ამ ორი თუ სამი წლის წინათ ნება დართული 2 მილიონიანი სესხი.

— სისხლის სასამართლოს განყოფილება გაარჩევს ამ დღეებში საქმეს ყოფილი „ხოდიტე ვსვეტის" რედაქტორის ელჩანინოვისას. ელჩანინოვს მთავრობა ბრალსა სდებს, რომ მან გაზეთის ერთ ნომერში მოათავსა წერილი, „სემიონოვცები" ს სათაურით. ამ წერილში ნათქვამია, რომ „სემიონოვეც"—ი საგინებელ სიტყვათ გადაიქცა, როგორც მაგალითად: „ხულიგანი" ან და „მხე-

# ფელეტონი

## თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(პ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება*)

ჯერ კიდევ ბევრი რჩება გასაკეთებელი და აღმოსაჩენი ამ დარგში; მეცნიერება, რომელიც ძლივს განთავისუფლდა მეტაფიზიკის ბრჭყალებისაგან, მხოლოდ ეხლა იწყებს ფიზიკურ ფსიხოლოგიის ფართო დარგის დამუშავებას; მაგრამ საქმე დაწყებულია; უკვე დადებულია მტკიცე საძირკველი აწინდელი შენობისათვის. ძველებური გაყოფა ორ დარგათ, რომლის განმტკიცებას ცდილობდა გერმანელი ფილოსოფოსი ემმანუილ კანტი, და რომელთაგანაც ერთი უნდა ყოფილიყო გამოკვლეული „სივრცესა და დროში" (ფიზიკური მოვლენები), მეორე კი—„მხოლოდ დროში" (ფსიხიკური მოვლენები), ეხლა თავის თავად ეცემა. და იმ კითხვაზე, რომელსაც იძლეოდა ოდესღაც სეჩენოვი: „ვინა და როგორ უნდა შეისწავლოს ფსიხოლოგია", მეცნიერებამ უკვე გასცა პასუხი: „ფიზიოლოგიამ,—ფიზიოლოგიური მეთოდით". და მართლაც, ფიზიოლოგოსთა უკანასკნელი ხანების შრომამ მოჰფინა ბევრათ მეტი ნათელი, ვიდრე მეტაფიზიკოსების დაწვრილებითი მსჯელობამ, აზროვნობის მექანიზმს, შთაბეჭდილების გაღვიძებას, აღძვრას, (возбужденіе), მათ განმტკიცებას,—ერთი სიტყვით, ყველა ფსიხოლოგიურ პროცესებს.

და ამაში, თავის მთავარ ბურჯში, დამარცხდა მეტაფიზიკა. იმ დარგს, რომელშიაც მას თავისი თავი უძლეველი ეგონა, დაეპატრონა საბუნებისმეტყველო მეცნიერება და მატერიალისტური ფილოსოფია, რომლებიც ამოძრავებენ ამ დარგში ცოდნას ბევრად უფრო სწრაფათ, ვინემ მეტაფიზიკური ფიქრ-აზროვნების საუკუნოები.

იმავე წელში გამოვიდა, უნდა შევნიშნოთ, კიდევ ერთი გამოკვლევა: დარვინის წიგნი „სახეების წარმოშობაზე", რომელმაც დაჩრდილა ყველა დანარჩენები.

ჯერ კიდევ წარსულ საუკუნოებში ბიუფონმა, და ორი საუკუნის საზღვრებზე ლამარკმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ მცენარეთა და ცხოველთა სახეები არ წარმოადგენენ უძრავ (უცვლელ) ფორმებს; რომ ისინი ცხვალებადნი არიან და განუწყვეტლივ იცვლებიანო. ის ფაქტი, რომ სახეების ჯგუფები ჰგვანან ერთი მეორეს, იმას ამტკიცებს, რომ ისინი წარმოშობილი არიან საერთო წინაპრებისაგან. ასე უნდა წარმოშობილიყვნენ ოდესღაც გარეშე პირობების გავლენით, მაგალითად, ხანკვლის (ЛЮТИКЪ) სხვა და სხვა სახეები, მინდვრის წყლისა და სხვები, რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ჩვენს მინდვრებსა და ჭაობებში. მგლებისა, ძაღლების, ტურების და მელების ეხლანდელი ჯიშები მას ჟამსა შინა, უხსოვარ დროში არც კი არსებობდნენ. მათ მაგივრათ კი არსებობდა მხეცების ისეთი ჯიში, რომლისაგანაც ჟამთა ვითარების გამო, სხვადასხვა პირობებში წარმოსდგა, მგლებიც, ტურებიცა და მელებიც.

მაგრამ მე-XVIII-ე საუკუნეში ასეთი ერეტიკული აზრების გამოთქმა სახიფათო იყო. ეკლესია იმ დროს ჯერ კიდევ ძლიერი იყო, და ბუნების მეტყველს ასეთი ერეტიკული აზრებ სათვის ელოდა საპყრობილე, ტანჯვა წვალება, ან საგიჟე. „ერეტიკებიც" ფრთხილათ ხატავდენ თავის აზრს. ეხლა კი დარვინმა და უოლლესმა გაბედულათ იწყეს ამ ერესის გავრცელება; დარვინმა კი პირდაპირ და ხმა—მაღლა განაცხადა, რომ ადამიანიც იმავე ნელი ფიზიოლოგიური განვითარების გზით წარმოსდგა მაიმუნის მსგავს ცხოველების მდაბალი ჯიშისაგან. რომ მისი უკვდავი სული" (безсмертный духъ) და „ზნეობრივი სული" (нравственная душа) შემუშავდენ სწორეთ იმავე გზით, როგორათაც ჭიანჭველის, გინდ შიმპანზეს ჭკუა-გონება და ზნეობრივი ჩვეულებები.

ყველამ ვიცით, თუ რა რისხვა და ვაი-უბედურება დაატეხეს მაშინ თავზე დარვინს და განსაკუთრებით,

*) იხილე „მუშა" № 32.

...ასე რომ პეტერბურგში, როცა სემიონოვის პოლკას მახლობლათ რომელიმე სემიონოველი გზას ითხოვს, იმისგან გარბიან, როგორც ქვეწარმავალისაგან შემდეგ წერილში ნათქვამია, რომ მოსკოვის აჯანყების დროს, როცა სხვა სალდათებმა უარი სთქვეს მუშების წინააღმდეგ გალაშქრებაზე: როცა მთავრობა შეშინდა და მიიმალ მოიმალა— და მხოლოთ აქა-იქ მთვრალი დრაგუნებიღა თუ სადმე სჩანდა, ამ დროს ჩამოვიდა სემიონოვის პოლკი დამფთხალი გენერლების გამოსახსნელათ. ამავე წერილშია ნაჩვენები, რომ სემიონოვის პოლკმა მოიცხო ხალხის სისხლი და დაიმსახურა მისი წყევა. კრულვა. ყველა პატიოსანი ადამიანი ეხლა გრძნობს ამას და ისინი კი დაიარებიან, როგორც დაჭრილი მხეცები, თავის ხალხზე, თავის სამშობლოზე კბილებ დალესილნი, შეჩვენებულ დაწყევლილები“.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენ თავისუფალ გაზეთ „მუშის“ ორგანოს, უახლოეს ნომერში ალაგი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს, და მით საშუალება მომცეთ გავაცნო მკითხველთ ერთი გულ-შემზარავი ამბავი. აი საქმე რაშია მკითხველო: თუ წაიკითხეთ № 28 „მუშა“ ქიათურიდან კორესპონდენცია, უსათუოდ გამოიტანდით რამე აზრს შიდ და გეკითხებით მკითხველნო: თქვენ გასაჯოთ თვითონ და გამოარკვიოთ ვინ არის დანაშაული და ვინ არა. ის საშინელი სურათი რომელიც მე აღვწერე, ჩემდა საუბედუროდ საშინელ მოვლენად გარდაიქცა. იმ მუშებმა და იმ ვაჟბატონმაც რომელიც მე მყავდა მოხსენებული როგორც მეთაურათ, არც კი წაუკითხიათ ისთე მოვარდენ ჩემთან და მოკვლა მომინდომეს. როგორ გაბედე შენ ჩვენი გალანძღვა, როგორ მოგვექერი თავი ამდენ მუშასო?! ან უნდა გადასახლდე ამ ქიათურიდგან ან და უსათუოდ მოგკლათ უნდაო; აი საშინელი მოვლენა მკითხველო; მე ამისი ყველა მუშებს არ ვგმობ, ამ საქციელით ყველა მუშებს მე არ ვკიცხავ, მიტომ რომ, ვინც მართლა ცოტა შეგნებულია, ვინც მართლა დღევანდელ ცხოვრებას დაკვირვებულია, ის არასოდეს არ მოიქცევა ასთე იმ წერილის წინააღმდეგ, და მართლაც ბევრი მუშები მისაყვედურებენ ამაში შემცდარხარ, ყველა ქიათურელ მუშებისთვის მოკიდვია ხელიო, იქე ყველაფერი მართალია შენი ლაპარაკიო. კაი დაგემართოს ამხანაგებო! მშვენიერი სიტყვაა მაგიც, მაგრამ თქვენ მასთე არ უნდა მოქცეულიყავით, როგორც მოიქეცით, ჩემ წინააღმდეგ; არ გრცხვენიათ, ასე აგიტაცათ იმ ვაჟბატონის პრავაკატორობამ? არ გრცხვენიათ და ვერა გრძნობთ რომ მაგისთანა პრავაკატორებს სურს მუშებში განხეთქილება მოახდინოს? ველარ დაუკვირდებით ცოტას თქვენ მოქმედებას? თუ შევცდი რამეში ამხანაგებო, ფიზიკური ძალა კი არ უნდა გეხმარათ ჩემზე როგორც კაზაკებს, არა, თქვენ შეგეძლოთ, ან გაზეთის საშვალებით ან რაიმე კრებით პასუხი მოგეთხოვა ჩემთვის, და თუ რაიმე შეცდომაში ვიქნებოდი ბოდიშს მოვიხდიდი თქვენ წინაშე. დღეს ამხანაგებო, რა უნდა გითხრათ მე ვერ გამომითქვამს ვერაფერი თქვენ მოქმედებას რა უწოდო. თქვენ თუ მართლა მუშები ყოფილიყავით, თუ თქვენ მართლა დღევანდელ დღეს დახედული იყავით, იმ ვაჟბატონს კი არ მოეხმარებოდით ჩემ წინააღმდეგ გასალაშქრებლად, არამედ თქვენ, თქვენ ამხანაგს მიეხმარებოდით, არამედ თქვენ თქვენ ამხანაგ მუშას დაუჭერდით მხარს. თუმცა და ამბობთ ზოგიერთი მუშები, არა ხარ ჩვენი ამხანაგიო, მაგრამ ცდებით მუშებო, მე კი მიმაჩნიხართ ამხანაგათ და თქვენ როგორც გსურთ ისე მოიქეცით. მე არ ვგმობ კიდევ თქვენ მოქმედებას ჩემზედ ფიზიკური ძალით, რადგან თქვენ არ დაფიქრებულხართ ჯერ არც ერთი იოტის ოდენათ იმაზედ თუ რას წარმოადგენს დღეს დღევანდელი გახრწნილი მთავრობა, და რასაც ჩადიხართ თქვენ, ეს თქვენი ბრალი არ არის, ეს იგივე მთავრობის ბრალია. არა გაქვთ შეგნება რომ დაფიქრდეთ და დაუმოთ თქვენი ყოფა ქცევა.

რაც შეეხება იმ ვაჟბატონს, როგორც არა მუშას, მე გაუსწორდები. ჯერ მოვთხოვ ქიათურის ს.-დემოკრატიულ ორგანიზაციას, რა მიმართულების კაცია, რას ემსახურება, და მერმედ მე ვიცი და იმ ვაჟბატონმა. ამაზედ შეიძლება ს.-დემოკრატებმა მითხრან ჩვენ რა ვიცით ვილაც ეშმაკიო. არა ბატონებო! მაგნაირი პასუხი შეუძლებელია მომცეთ, მიტომ რომ, როდესაც თქვენ გამოსულხართ მუშების ინტერესების დასაცველად, როდესაც თქვენ გიდევია თავზედ მუშების ავ-კარგი, მე თქვენ გთხოვთ ჯერ პასუხს ვინ გყავთ მუშების მეთვალყურეთ? პროვოკატორი?! რატომ არ იძიებს მას კაი კაცობას? მე თქვენ მხოლოდ გამაცანით მისი ფიზიონომია რაში გამოიხატება და იმ ფიზიონომიის დაგვარად გაუსწორდები. თუ ხულიგანია და პროვოკატორია, როგორც ხულიგანს შეშვენის ისთე გაუსწორდები. როგორ გაბედა იმან ფიზიკური ძალით ხელის შეხება ჩემზედ შეუგნებელი მუშების დახმარებით. მე მუშებთან საქმე არა მაქვს, მუშები გაიგებენ ერთ დროში იტყვიან დანაშაული ვყოფილვარ მე თუ არა მხოლოდ პასუხს ვითხოვ არა მუშიდგან არამედ, იმიდგან; სიმართლეს მაგნაირი ვაჟბატონები ვერ დაემალება. მაგან თავისი მოქმედებით დღეს, დაამტკიცა თავისი ხულიგანობა და პროვოკატორობა, მაგან თავისი მოქმედებით დაკარგა თავისი ადამიანობა, ბილწო ადამიანო! თვალებს შენი დანახვა ეძიმება. მე არ მივმართავ ბიუროში გასარჩევად დღეის იქით შენ საქმეს, არამედ ჩემი ქკუის ბიურო გაარჩევს შენს საქმეს ჩემი აზროვნება გადასწყვეტს შენს სასჯელს. სიმართლის მქადაგებელს ვერ მოჰკლამს ბილწები. სიმართლის მდევნელი თავის-თავად მოჰკვდება. მე მზად ვიყავი მაგ ვაჟბატონთან გამოვსულვიყავ ყველაფერში და დამემტკიცებია რომ, რასაც იაგი ამბობს ტყუილია, მაგრამ ველარ გაჰბედა უგუნურმა, იცოდა რომ დანაშაული იყო, და მიჰყო ხელი ისევ პროვოკატორობას მუშებში ჩემ წინააღმდეგ, მიმიწვია ერთი შეუგნებელი მუშინ პირით, და ფიზიკური ძალით გამცა პასუხი, ეხლა ვნახოთ ყმაწვილო ფიზიკური ძალა როგორი

---

მის მხნე, ჭკუიანსა და მცოდნე მოწაფეს,—„დარვინის მოძღვრების პავლე მოციქულს,“—თომა ჰ. ჰექსლის, რომელიც ხაზს უსვამდა განსაკუთრებით იმ დასკვნებს დარვინის შრომისას, რომელნიც ყველაზე უფრო აშინებდნენ ყველა სარწმუნოების სამღვდელოებას. ბრძოლა სასტიკი იყო, მაგრამ გამარჯვებული მაინც დარვინისტები დარჩნენ. შედეგათ ამას კი ის მოჰყვა, რომ ჩვენ თვალს წინ აღმოცენდა მთელი ახალი, უპფართოესი მეცნიერება—ბიოლოგია, ანუ მეცნიერება ცხოვრების შესახებ ყველა მისი მოვლენებით.

ამასთანავე დარვინის თხზულებებმა მოგვცა ახალი გასაღები ყველა მოვლენების—ფიზიკურ, სასიცოცხლო და საზოგადოებრივი მოვლენების—გასაღებათ. მათ აღმოაჩინეს ახალი გზა ამათ გამოსაკვლევათ. თეორია თანდათანობითი შეგუებისა გამოცვლილ პირობებში, იხმარეს ბუნების და აგრეთვე ადამიანისა და მის საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმოშობის ახსნელათ; მათ აღმოაჩინა სრულიად უცნობი ჰორიზონტები და შეძლება მოგვცა ჩვენ ავხსნათ ცოდნის ყოველ დარგში თვით გაუგებარი ფაქტებიც კი.

ამ გზით წარმოსდგა არა მარტო ბიოლოგია, რომელმაც ჰ. სპენსერის ხელით გვიჩვენა ჩვენ, თუ როგორ შემუშავდენ და მუშავდებიან ეხლაც დედამიწაზე მოსახლე ცოცხალ არსებათა უთვალავი ფორმები, და რომელმაც შეძლება მისცა ჰეკკელს პირველათ ცდილიყო გამოეკვლია გენეოლოგია ყველა ცხოველებისა, მათ შორის ადამიანისაც. ამავე გზით ჩაუყარეს აგრეთვე მტკიცე საფუძველი ადამიანის ზნე ჩვეულებათა, მორწმუნეობათა და დაწესებულებათა განვითარების ისტორიას, რომელიც აკლდა მეთვრამეტე საუკუნეს და კონტსაც. ამ ისტორიის დაწერა ეხლა ისედაც შეგვიძლია, რომ არ მოვიშველიოთ არც ჰეგელის მეტაფიზიკის ფორმულები, არც თანდაყოლილი იდეები“ და „შთაგონებანი“ გარედგან, არც კანტის „შინაარსი“ (Ding oru ius)—ერთისიტყვით, შესწავლის მომკვლელი არც ერთი ფორმულა, რომლის უკანაც იმალება სიტყვებში, როგორც ღრუბლებში, იგივე ძველებური ცრუმორწმუნეობა და უვიცობა.

ნატურალისტების შრომის წყალობით ერთის მხრით, და მეორე მხრით, მ ნისა და მის მიმდევრების წყალობით, რომლებმაც იხმარეს იგივე ინდუქტიური მეთოდი პირველყოფილი ზნე-ჩვეულებათა და მათგან გამომდინარე კანონების შესასწავლათ, ადამიანის დაწესებულებათა აღმოცენების და განვითარების ისტორია შეიძლება დაყენებულ იქმნას უკანასკნელ წლებში ისეთსავე მტკიცე საფუძველზე, როგორც რომელიმე სახის მცენარეთა, გინდ ცხოველთა განვითარების ისტორია.

რასაკვირველია, დიდი უსამართლობა იქნება დავივიწყოთ ის უზარმაზარი მუშაობა, რომელიც შეასრულეს ადრე—ჯერ კიდევ მეოცდაათე წლებში—დაწესებულებათა ისტორიის დასამუშავებლათ, საფრანგეთში ოგიუსტენ ტიერის სკოლამ, გერმანიაში მაურერის და გერმანისტების სკოლამ, და რუსეთში კი ცოტა უფრო გვიან კოსტომაროვმა, ბელიაევმა და სხვებმა. ევოლიუციის მეთოდს ხმარობდენ ზნე-ჩვეულებათა და დაწესებულებათა, აგრეთვე ენების შესასწავლათ უკვე ენციკლოპედისტების დროიდან. მაგრამ უტყუარი, მეცნიერული დასკვნების მიღება ამ უთვალავი შრომიდან მხოლოთ მაშინ შეიქმნა შესაძლო, როცა მეცნიერებმა შეხედეს მიჩნეულ ფაქტებს ისე, როგორც უყურებს ბუნებისმეტყველი მცენარის, ანუ ახალი სახის ორგანოების თანდათან განვითარებას.

მეტაფიზიკური ფორმულები ხელს უწყობდენ ერთ დროს გამოეყვანათ ზოგიერთი დაახლოვებითი ზოგადი აზრები. განსაკუთრებით ისინი მოსვენებას არ აძლევდენ და აღვიძებდენ მძინარე აზრს, რადგანაც იძლეოდენ გამოურკვეველ ნიშნებს ბუნების ერთიანობის და ცხოვრებისას. იმ დროს, როცა ენციკლოპედისტების და მათი ინგლისელი წინაპორბედების ინდუქტივურ აზრების დაიწყება იწყეს (ეს იყო მე-XIX-ე საუკუნის პირველ ნახევარში),—და იმისათვის, რომ ხმა ამოეღოთ ფიზიკური და ფსიხიკური ბუ-

მაქვს?! სხვა მუშებო! თქვენ მეუბნებით, რომ ყველა მუშებს გვლანძღავთო; ჯერ ერთი რომ, გალანძღვა აქ სადაა, მხოლოთ წინადადებას გაძლევთ და გირჩევთ ნუ მოიმოქმედებთ იმას რაც ეწინააღმდეგება ჩვენ ინტერესებს, მასთან, დიახაც ყველა მუშებს მოუწოდებ და გავაცნობ ჩემ აზრს, რომ მაგნაირი ქცევა მუშებთა შორის საშინელი სურათია. ვინც იტყვის რომ ეს გალანძღვაა ჩვენიო—ტყუილია, მაგრამ რომ ყოველივე ცოტად თუ ბევრად შეგნებული მუშები იმას უნდა ქადაგებდეს შეუგნებელ მუშებში რაც № 28 გაზეთ „მუშაში“ ეწერა, და არა ჰგმობდეს და ჰკიცხავდეს და მოკვლას უპირებდეს იმის დამწერს. ერთი მაინც დაფიქრდით.

მუშა პ. გუჯაბიძე.

# რუსეთი

14 ივლისს დილით ერთ ჟურნალისტის ბინაზე დააპატიმრეს სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფნი **ჟორდანია** და **მიხაილიჩენკო.** დააპატიმრეს აგრეთვე თვით ჟურნალისტიც. (რუსკ. ვედ.)

„Local Anzeiger“-ის ცნობით ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა მიიღო ცნობა, რომელშიაც ეწერა თუ ვარშავაში მოხდება ებრაელთა აწიოკება, მოკლულ იქმნებიან, ჩრდილოეთ—ამერიკის, საფრანგეთის, გერმანიის და ავსტრიის კონსულები. ადგილობრივი ვარშავის გაზეთები უნდობრად მოეპყრნენ ამ ამბავს მაგრამ მეორე მხრით კი აღნიშნავენ, რომ კონსულებს მიუყენეს სამხედრო დარაჯები.

როგორც „პერელომ“-ს შეუტყვია საიმედო წყაროდგან, რომ გენერალ ტრეპოვმა ძალიან დაჰკარგა გავლენა სასახლეშიო. ეხლა ძალიან გავლენა მოიპოვეს სასახლეში, ფლიგელ-ადიუტანტებმა, თავადებმა ორლოვმა და გაგარინმაო. (სვობოდ. ჟიზნ).

გამოძიება, რა დამოკიდებულობა ჰქონდა გაფიცვის კომიტეტთან გენერალ-ადიუტანტ ლინევიჩს, უკვე დამთავრებულია; და „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით წარედგინა სამხედრო მინისტრს.

ამ დღეებში ზოგიეროს გაზეთებში მოქცეული იყო ცნობა, რომ ვითომ ყოფილ დეპუტატ ვინავერს გაუმართავს ქალაქ შლისსერბურგში არა კანონიერი მიტინგი და რომ მისცეს იგი პასუხების გებაშიო ნამდვილად კი მუშების ბრბო შეუყრია ერთს პირს, რომელსაც ჰქონია ყალბი ბილეთი, ვინავერის სახელობაზე ამის შესახებ ჟანდარმთა პოლიცია ახდენს გამოძიებას. (სვობოდ. ჟიზნ).

კორრესპონდენციები, რომელიც გამოგზავნილია სახელმწიფო სათათბიროში, დეპუტატების და ჟურნალისტების სახელზედ; წერილების ჩაბარებამდე, ისინჯება გრადონაჩალნიკის მიერ. (სვობოდ. ჟიზნ)

ყოფილი დეპუტატებს ებრაელთ ნება არა აქვთ კანონით 24 საათის შემდეგ ყოფნისა სატახტო ქალაქებში, მაგრამ გაზეთ „XX ვეკის“ სიტყვით, მაღალ წრეების ჩაგონებით, ჯერ პოლიცია არ ასახლებს მათ.

პოლიციის დეპარტამენტი შეეკითხა გუბერნატორებს, ყოფილ დეპუტატების ყოფა-ქცევას. პასუხი გუბერნატორებისა დასამშვიდებელია. (XX ვეკ)

# დეპეშები

(რუსეთის სადეპეშო სააგენ).

**გელსინგფორსი.** მთელი დღე სვეაბორგში განუწყვეტლივ სროლა იყო, თოფების და ზარბაზნებისა. აფეთქდა თოფის წამლის საწყობი. გელსინგფორში ზოგიერთ ადგილას ჩაილეწა ფანჯრის შუშები. მოვიდა ორი სამხედრო გემი და 2 საათს განუწყვეტლივ უშენდნენ ზარბაზნებს კუნძულს, რომელიც დაიჭირეს მეომბოხეებმა, დასაწყისში მეამბოხეებმა უპასუხეს. ეხლა სროლიად შესწყდა.

**ბელგრადი.** დეპეშები აღმოსავლეთის საზღვრიდგან იუწყება, რომ ქალაქ ბელინში (ბოსნია) დაიწყო არეულობა. მცხოვრებლებმა უკმაყოფილება განაცხადეს. უსამართლო ხარჯის განაწილებაზე. მართმადიდებელნი და მუსულმანნი ერთად მოქმედებენ პოლიციის და ავსტრიის ჯარის წინაღმდეგ. ჟანდარმერიას და ჯარს იარაღი აჰყარა აჯანყებულებმა.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** პოლიციური სამსახურის ასრულების გამო, მეციხოვნე არტილერისტებმა განაცხადეს პროტესტი. 8 ივლის მათ შეუერთდა საალყო ჯარი. 9 ივლის დაუწყეს სროლა ქვებით სამხედრო საკრებულოს. ოფიცრები წავიდნენ იქიდგან; მაშინ ჯარის კაცებმა გადასწყვეს შენობა. მოსულ ციხის კომენდანტს დახვდნენ ალერსიანად და სთხოვეს რომ დაეცვა ჯარის კაცთა მოთხოვნილებანი. 10 ივლის დააპატიმრეს არტილერისტები და საალყო ჯარის კაცნი.

**კავკავი.** მესამე ბატალიონი სამურის პოლკისა, რომელიც დაბანაკებულია დეშლაგარში, აჯანყდა. მოჰკლეს პოლკის უფროსი, მღვდელი და 4 ოფიცერი. ჯარი გაგზავნეს კავკავიდგან და გროზნიდგან. ჯარი დამორჩილდა მეთაურები გასცეს. რამდენიმე ჯარის კაცმა თავი მოიკლა.

**ვარშავა.** აღმოაჩინეს სტამბა ოგოროდოვის ქუჩაზედ, რომელიც ეკუთვნოდა სარევოლიუციო ორგანიზაციებს. დაიჭირეს 12,000 ეკზემპლიარი მოწოდება ხალხისადმი, სახელმწიფო სათათბიროსი.

**ბახმუტი.** მაკეევკაში, დონის ოლქში, გამოცხადებულია საომარ დროის წესები.

**პეტერბურგი.** „პრავიტელსვენი ვესტნიკი“ იუწყება, რომ 10 ივლისს დაახლოვებით ღამის 11 საათზედ კრონშტადტში დაიწყო არეულობა. 4 ფლოტის ეკიპაჟის მატროსები გამოცვივდნენ გარედ კაზამებიდგან, შეუერთდა მუშებს და იქვე მდგომ ხალხს, გასწიეს პორტის უფროსის სახლისაკენ. ქვეითა ჯარმა გაჰფანტა ბრბო. ამ დროს დაიწყო არეულობა სხვა კაზარმებში როგორ იქმნა დაიყოლიეს მატროსები და დაამშვიდეს, მაგრამ მეოთხე ეკიპაჟის მატროსები და ხალხი დაეცნენ არსენალს. მაგრამ ქვეითა ჯარმა უკუ აქცია იგინი, ტყვიის მტყორცნელების საშუალებით. ამის შემდეგ კიდევ შეიკრიბა ბრბო, რომელიც წავიდნენ კონსტანტინეს ფორტისკენ (ხალხის მოახლოვებაზე აღმართეს ფორტზე წითელი დროშა) საიდგანაც დახმარებას ელოდნენ. კონსტანტინეს ფორტს, ჯარმა დაუშინა ყუმბარები, დილით ხუთ საათზე დანებდა ფორტი. ხალხის და ჯარის კაცთა შეჯახების დროს, ხალხი ისროდა ბრაუნინგის რევოლვერებს, რომლითაც მოკლეს კაპიტანი როდიონოვი, დობროვოლსკი და შუმანი და შტაბს-კაპიტანი სტოიანოვსკი. დაჭრილია კონტრ-ადმირალი ბეკლამიშევი, კაპიტნები კრინიცკა და პატონი, და მიჩმანი მალცევი. დილით წესიერება აღდგენილ იქმნა.

**გელსინგფორსი.** მიხაილოვის და ინჯინერის კუნძულები დანებდნენ. იჭერენ დამნაშავეთ. აფეთქება თოფის წამლის საწყობისა მოხდა მიხაილოვის კუნძულზედ.

**იაროსლავი.** გაძარცულია ეკლესია სოფელ ვოსკრესენიეში

**ვარშავა.** ოტვოცკში, მოჰკლეს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწე, პოლიციულ ნაწილისა მარკრაფსკი.

**კრონშტადტი.** მთელი ღამე ისმოდა სროლა. აჯანყდნენ მატროსები. მაღაზიები და სახლები არ აუწიოკებიათ. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. სროლა შესწყდა 5 საათზე დილით. მოკლულია ადმირალი ბეკლემიშევი და რამდენიმე ოფიცერი როგორც ეტყობა მატროსებს და მუშებს მოლაპარაკება ჰქონიათ, რომ არეულობა დაეწყოთ ერთად, მაგრამ მუშები არ შეუერთდნენ. მატროსები დააპატიმრეს. ქალაქი დამშვიდდა.

**გელსინგფორსი.** ქალაქის მახლობლად მოხდა არეულობა წითელ გვარდიელ ფრაკციებთა შორის. არიან მოკლულნი და დაჭრილნი. მოკლულია ოფიცერი აკკერმანი. წითელ გვარდიის წინაღმდეგ გაგზავნილია ჯარი.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე.

კაი მოქალაქობრივი გამბედაობა,—ბუნდოვანი მეტაფიზიკა ხელს უწყობდა მაინც მისწრაფებას ზოგად აზრებისადმი. მაგრამ მისი ზოგადი აზრები გამოჰყავდათ ან დიალექტიკური, ან და ნახევრად შეგნებული ინდუქტიური მეთოდით, და ამიტომ, როგორ პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, ზოგად აზრებს ესვათ მეტისმეტი გამოურკვევლობის ბეჭედი. პირველნი (დიალექტ. მეთ.) გამოჰყავდათ არსებითად არა ბრძნულ გონებითი დასკვნების ძალით,—იმის მსგავსათ, როგორც ზოგიერთი ბერძნები ამტკიცებდნენ ძველათ, რომ პლანეტები უნდა ტრიალებდნენ წრეებში რადგანაც წრე არის მეტის მეტი მრუდე ხაზიო; შემდეგ, დასაბუთების სილატაკე მალავდნენ ბურუსიანი სიტყვებით, და კიდევ უფრო ბუნდოვანი და უშნო მოთხრობით მეორეებს კი (ინდუქტ. მეთ) აშენებდნენ დაკვირებათა მეტათ შემოფარგლულ წრეზე,—ვისმანის ფართო, მაგრამ დაუსაბუთებელ დასკვნებსავით, რომელმაც ამას წინეთ გამოიწვიეს ერთი მითქმა მოთქმა, მერნების ერთიანობაზე საჭირო იყო მე კი რადგან ამ შემთხვევაში ინდუქცია იყო შეუგნებელი, ისინი აჰყავდათ აუცილობელ კანონების სანქციაში, მაშინ როდესაც ნამდვილათ, de facto ისინი იყვნენ უბრალო მოსაზრებანი—ჰიპოთეზები, ზოგადი აზრების ჩანასახებათ, რომლებსაც ესაჭიროებოდა, პირველ ყოვლისა, ფაქტიური ინდუქტიური შემოწმება, და ბოლოს, ყველა ეს ფართე ზოგადი აზრები, რომლებიც გამოთქმული იყვნენ უკიდურეს განყენებით ფორმებში, როგორიცაა, მაგალითად, ჰეგელის „თეზა, ანტითეზა და სინთეზისი“ ადგილს აძლევდენ კონკრეტულ დასკვნებში სრულ ივითნებობას, ასე რომ მათგან შეიძლებოდა გამოეყვანათ, და გამოჰყავდათ კიდევაც, ბაკუნინის რევოლიუციონური სული დრეზდენის რევოლიუციით. მარქსის რევოლიუციონური იაკობინიზმი, და „არსებულის გონიერება“, რომელმაც, რომ არა ვითქვათ ერთ წოდებულ რუსულ მარქსიზმის აგერ წინეებზე გზა-კვალის არევდარევაზე და შეცდომებზე, იქამდი მიიყვანა ბელინსკი, რომ ხოტბა შეასხა პუშკინის „ბოროდინოს წლის თავს“.

ან—შინ.

(გაგრძელება იქნება).

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.